პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 3 ივნისი № 129 (16559) ფასი 2 კაპ. 1976


## ქვათე-საჩისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

### ვალდებულების ანგარიშში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ვადაზე ადრე შეასრულეს ხუთი თვის გეგმა ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული.

წინ მიდიან ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, მინისტარის, მეცრეგაბარიტიანი ტრაქტორების, ლითოფონის ქარხნების, აბრეშუმის, ბამბეულის საწარმოო, „გელათისა“ და კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებების, წისქვილ-კომბინატის, სახლთსამშენებლო და პურკომბინატების კოლექტივები.

მაისში ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

### ვადაზე ადრე

ბორი. ხუთი ოთის სახელმწიფო ფერმის ბრიგადამ ვადაზე ადრე უკანასკნელ გორის-ბორბალოს ჭოლიანატის მშრომელებმა. განვლილ პერიოდში გამომშვებული და რეალიზებულია 1 მილიონ 50 ათასი მანეთის პროდუქცია.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გამომშვებულია 1,5 მილიონი მანეთით მეტი ნაწარმი, მათ შორის 120 ტონა ნართი 1 მილიონი მეტრი ხამი და 1.220 ათასი მეტრი მზა ქსოვილები.

ეს რედაქციას აცნობა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ბელაშვილმა.

# კრიზიკის ქმედითობა

ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით ახორციელებენ საბჭოთა ადამიანები სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც კომუნისტთა, ყველა მშრომელის ძალღონეს, შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ძირითად მიმართულებებზე, დიდ ყურადღებას უთმობენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, ყველა რგოლში და ყველა დონეზე მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებას.

ამ სტილის განუყოფელი ნაწილი, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ თვითკმაყოფილებას, გულისხმობს უმაღლეს მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი მეთოდის. კომუნისტთა ვალია, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, — კი არ მიჩქმალოს სუსტი ადგილები, არამედ აშკარად გაკრიტიკოს ისინი, რათა რაც შეიძლება მალე და უფრო რადიკალურად მოიცილოს ისინი თავიდან. ეს წარუვალი ანდერძი, რომელიც ღრმად ეხმაურება ჩვენი პარტიის ნოვატორულ ხასიათს, პარტიული ცხოვრების საწესდებო მოთხოვნა, კანონი გახდა.

ამის შესანიშნავი მაგალითია სკკპ XXV ყრილობის მუშაობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშშიც, დელეგატთა გამოსვლებშიც ბოლშევიკური პირდაპირობით ითქვა ნაკლოვანებებზე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. გააკრიტიკეს სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის ხელმძღვანელები და მუშაკები. „ჩვენ სწორად, ლენინურად მოვიქცევით, — აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — თუ, ჯეროვნად შევაფასებთ რა მიღწეულს, მთელ ყურადღებას დავუთმობთ ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, გადაუწყვეტელ ამოცანებს“.

ცხოვრება მოწმობს: საქმისადმი სწორედ ასეთი მიდგომა უწყობს ყველაზე უკეთ ხელს მასების პოლიტიკური აქტივობის, შემოქმედებითი ენერგიის ზრდას. ამას მოწმობენ ყრილობის შემდეგ გამართული პარტიული აქტივისა და პირველადი ორგანიზაციების კრებები, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, უკრაინის, უზბეკეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, მთელი რიგი სხვა პარტიული კომიტეტების ამასწინანდელი პლენუმები. საქმიანმა ატმოსფერომ, მკაცრი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის სულისკვეთებამ, რომლებითაც ისინი გამოირჩეოდნენ, ხელი შეგვიწყო ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ბევრი რეზერვის გამოვლენაში, კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ამოცანათა პრაქტიკული გადაწყვეტის გზაზე სიძნელეთა აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვაში.

ტამბოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში, პარტიის XXV ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდის არსს. მთავარია, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის, თვითეული მუშაკის საქმიანობის ყველა მხარე ღლებდეს ობიექტურ შეფასებას, შეცდომები და ხარვეზები კი ყოველნაირად გაანალიზებულ იქნას მათი აღმოფხვრის მიზნით, რათა ადეკვეთოს ლიბერალური დამოკიდებულება ნაკლოვანებებისა და მათი დამშვები პირებისადმი, ვიჩენდეთ შეურიგებლობას ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, უგერგილობის, უძრაობის ყოველგვარი ფაქტისადმი. და, რა თქმა უნდა, მკვახე გამოთქმებით, ვითარების გამწვავებით რიდი განისაზღვრება კრიტიკის დონე.

კრიტიკის ღირებულებაა მისი კონსტრუქციული მუხტი, აღძრული საკითხების უტყუარობა და საფუძვლიანობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობა. თავის მხრივ თვითკრიტიკის ღირებულებას განსაზღვრავს მისი გულწრფელობა, მუშაკის მზადყოფნა დაუყოვნებლივ მოგიდოს ხელი ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. იქ, სადაც კომუნისტებს ესმით ეს, კრიტიკა და თვითკრიტიკა ყოველთვის არის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობისა და დისციპლინის დონის ამაღლების, მათი უფრო მეტი შეკავშირების ქმედითი საშუალება.

ყოველ სხვა მიდგომას მოსდევს ცხოვრების სწრაფი დინებისაგან, მისი მოთხოვნებისაგან ჩამორჩენა. ამას წინათ „პრავდაში“ პავლოდარადის გვირაბგამყვანთა ბრიგადირებმა ნ. ვანნმა და ვ. შელემეტევმა ასეთი მაგალითი მოიყვანეს: „დნეპროგიპროშახტის“ მეთაური ინსტიტუტისა და ხარკოვის „იუჟგიპროშახტის“ მუშაკებმა „დნეპროფსკაიას“ შახტში დააპროექტეს ჭაური, რომელიც ფაქტურად უმაქნისი გამოდგა. ამის შედეგად ფუჭად დაიხარჯა ბევრი სახელმწიფო სახსრები, გვირაბგამყვანთა ბრიგადის ოთხი თვის შრომა. და მერე რა? ახალ „6-42“ მძლავრ შახტში ეს ავბედითი ჭაური კვლავ დააპროექტეს. მშენებელთა, ქვანახშირის მომპოვებელთა კრიტიკულ სიგნალებს ყურადღება არ მიაქციეს სპროექტო ინსტიტუტების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციებმა, თუმცა სწორედ ისინი უნდა იყონ ტექნიკური პროგრესისათვის, მომჭირნეობისა და ეკონომიურობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე.

კრიტიკისადმი, ადამიანთა სჯმინი შენიშვნებისა და წინადადებებისადმი აგდებული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ გამოვლენილი ნაკლოვანებებს, და იმ მიზეზების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც უარყოფით მოვლენებს წარმოშობენ. ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე პარტიულ და მუშათა კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებში. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელების მაგალითს. მათზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პრინციპულობა საკითხების დაყენებაში, ქვემოდან აშკარა კრიტიკისათვის პირობების შექმნა, მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა. პრესის გამოსვლების პასუხად ფუჭი ჯღაბნიობის პრაქტიკა, ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომა სიგნალებისადმი ნაკლოვანებებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ შეუთავსებელია ჩვენი ცხოვრების ნორმებთან. და ამა თუ იმ მუშაკის ყოველგვარი ცდა აინუნში არ ჩაიგდოს კრიტიკა, მკაცრად უნდა დაიგმოს იმის მიუხედავად, თუ რა თანამდებობა უჭირავს მას და რა დამსახურება მოუძღვის.

პარტიული ხელმძღვანელი ვერ იქნება ის, აღნიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, ვინც კარგავს უნარს კრიტიკულად შეაფასოს თავისი საქმიანობა, მოსწყდა მასებს. ამრავლებს მაამებლებსა და მლიქნელებს, ვინც დაკარგა კომუნისტთა ნდობა. ამასთან პარტიულმა ორგანიზაციებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ პრინციპული კრიტიკის საბაბით არ მიმართავდნენ კინკლაობას, ცილისწამებას, ქარიერისტულ „ხრიკებს“, დემაგოგიას და ჩირქის მოცხებას. ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილების საუკეთესო ხერხია შესრულების კონტროლი და შემოწმება. აგრეთვე საჭიროობა ყველა საკითხში, რომლებიც ადამიანებს აწუხებს, რეგულარული ინფორმაცია კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.

ჩვენ მოგველის გიგანტური მასშტაბის ამოცანები, დიდი შრომა, რომელიც მოითხოვს ძალების სრულ დაძაბვასა და მაღალ შემოქმედებითს ინიციატივას. რაც უფრო მწვავე, რაც უფრო ზუსტი იქნება პარტიული კრიტიკის ცეცხლი, რომელიც მიმართულია უყაირათობის, მუშაობის მოძველებული ხერხებისა და მეთოდების წინააღმდეგ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევების, ცხოვრების სოციალისტური წესის ზნეობრივი ნორმების დარღვევის წინააღმდეგ, მით უფრო სწრაფად წავიწევთ წინ, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი წარმატებანი.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

# მეცხოველეობა—სამრეწველო საფუძველზე!

## დღეს იხსნება საკავშირო თათბირ-სემინარი

### მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების ტექნიკური მომსახურებისა და მოწყობილობათა რემონტის საკითხებზე

**დღეს იწყება და სამ დღეს გაგრძელდება სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების ტექნიკური მომსახურებისა და მოწყობილობათა რემონტის საკითხებზე.**

**სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა სოფლის მეურნეობისა და კერძოდ მეცხოველეობის აღმავლობის სწორი გზა დასახა. ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის მეთვრამეტე პლენუმმაც. მეცხოველეობის კონცენტრაცია და სპეციალიზაცია წარმატებათა საწინდარია.**

**თათბირ-სემინარის მიზანია საზოგადოებრივი მეცხოველეობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლის შემდეგ მოპოვებული გამოცდილების ურთიერთგაზიარებით მივაღწიოთ საერთო აღმავლობას, პროდუქტების სიუხვეს.**

**თათბირ-სემინარისათვის მზადების პერიოდში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ფერმების საინჟინრო მომსახურების გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკის მთელ რიგ მეურნეობებში, ფერმებში „საქსოფლტექნიკის“ საწარმოებში ეს საქმე კარგად მოეწყო. მათი გამოცდილების გაცნობა, წარმოებაში ფართოდ დანერგვა დიდ სარგებლობას მოუტანს მთელ ჩვენს საზოგადოებრივ მეცხოველეობას.**

**პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, კომუნისტები, დათვალიერება-სემინარის მონაწილეები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი გულდასმით უნდა გაეცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში ასახულია ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების განვლილი ეტაპები და მოცემულია მომავლის სამოქმედო პროგრამა.**

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის მუშაობის დროს ზუსტად უნდა დავიცვათ სოფლად სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებული პრინციპები, — ნათქვამია დადგენილებაში. ესენია: ნებაყოფლობითობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ერთობლივ თანამშრომლობაში; სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სამუშაოებისადმი მეცნიერული მიდგომა; საზოგადოებრივ სამეურნეო გადოულიდებლობის შენარჩუნება; დემოკრატიული ცენტრალიზმი; საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური დაინტერესება. მთავარი კი პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მნიშვნელოვანი გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და დანახარჯების შემცირება.**

**ზემოქმედელი კომუნისტები, კოლმეურნეები, სპეციალისტები ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს ერთხმად იწონებენ და გულმოდგინე სწავლობენ, რათა განახორციელონ ის პრინციპები, რომელიც ამ დადგენილებაშია მოცემული.**

**ა. კობაიძე,**

**წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**



**გურჯაანის** რაიონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გამოზრდა-სუქების საქმის კონცენტრაციამ და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანამ ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. აქ ფართოდ დანერგა საკვებწარმოების კომპლექსური მექანიზაცია. სურათზე: საკვების მექანიზებული დარგება.

ფ. ბენგურის ფოტო.

# გულითადი მისალმება

### პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვაში ლვოვის ოლქის საწარმოთა მუშაობის გამოცდილების შემსწავლელი საკავშირო სემინარის მონაწილე პარტიულ მუშაკებს, მრეწველობის ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ — პროდუქციის ხარისხის ამაღლებისადმი მიძღვნილი საკავშირო სემინარის მონაწილე პარტიულ მუშაკებს, სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. თქვენი თათბირი მიმდინარეობს ლორსმესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების შესრულებას.

დაწყებული მეათე ხუთწლედს ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი ეწოდა. სწორედ ეს მიგვაჩნია დღეს იმის ძირითად „საშუალად, რომ გადაწყვეტოთ პარტიის XXV ყრილობაზე დასახული მთავარი ამოცანა — თანამიმდევრულად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, რომელსაც ახლა ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, სამეურნეო ხელმძღვანელმა, ყველა მშრომელმა, ის არის, რომ დღეიდანვე ვაუმჯობესებდეთ პროდუქციის ხარისხს, ვამაღლებდეთ მის ტექნიკურ დონეს, საიმედოობასა და ხანგამძლეობას ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და მრეწველობის დარგების, წარმოების მართვის ყველა რგოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე.

მოწინავე გამოცდილების დანერგვა ჩვენი ხელმძღვანელი კადრების, პარტიული კომიტეტების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სოციალისტური შეჯიბრების ყველა მონაწილის უპირველესი მოვალეობა იყო, არის და იქნება, იგი სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში ლვოვის ოლქის და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების გამოცდილების საყოველთაო გამოყენება დიდად შეუწყობს ხელს თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ დიდ წარმატებებს თქვენს მუშაობაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციისათვის.

**ლ. ბრეჟნევი,**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.**

# გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რაიონული დაქვემდებარების ქალაქ წყალტუბოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და წყალტუბოს რაიონის გაუქმების შესახებ

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გარდაიქმნას რაიონული დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

2. გაუქმდეს წყალტუბოს რაიონი და მასში შემავალი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაეცეს ქალაქის საბჭოს.

3. წყალტუბოს რაიონული და წყალტუბოს საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ რწმუნებანი წყალტუბოს საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**პ. გილაშვილი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვასაძე**

**თბილისი, 1976 წლის 28 მაისი.**

# სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიდი გზა

### საქართველოს მშრომელები მხურვალედ ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას!

## საპროგრამო დოკუმენტი ხალხის კეთილდღეობისათვის

**სოფლის** მეურნეობის აღმავლობის საპროგრამო დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში ასახულია ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების განვლილი ეტაპები და მოცემულია მომავლის სამოქმედო პროგრამა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის მუშაობის დროს ზუსტად უნდა დავიცვათ სოფლად სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებული პრინციპები, — ნათქვამია დადგენილებაში. ესენია: ნებაყოფლობითობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ერთობლივ თანამშრომლობაში; სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სამუშაოებისადმი მეცნიერული მიდგომა; საზოგადოებრივ სამეურნეო გადოულიდებლობის შენარჩუნება; დემოკრატიული ცენტრალიზმი; საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური დაინტერესება. მთავარი კი პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მნიშვნელოვანი გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და დანახარჯების შემცირება.

ზემოქმედელი კომუნისტები, კოლმეურნეები, სპეციალისტები ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს ერთხმად იწონებენ და გულმოდგინე სწავლობენ, რათა განახორციელონ ის პრინციპები, რომელიც ამ დადგენილებაშია მოცემული.

**ა. კობაიძე,**

**წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

## მიზანი — პროდუქციის სიუხვე

**გაერთიანების** მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან, სწავლობენ და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

**საწარმოო** ძალების შემდგომი განვითარება ობიექტურად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალ მიდგომას, მის კიდევ უფრო ღრმა სპეციალიზაციის, მეურნეობათა ღონისძიებების გაერთიანებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენების მიზნით.

**როგორც** სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული სამეურნეობათშორისო კოოპერაცია აფართოებს კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების მასშტაბებსა და შესაძლებლობებს, ამაღლებს მისი კონცენტრაციის დონეს და უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საიმედო გზაა.

**ვ. ფიფია,**

**ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე.**

**სურათზე:** დიღმის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი შ. ხმალაძე (ცენტრში) ბრიგადის წევრებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ხ. კილაძის ფოტო.

# ფ. მარკოსი მოსკოვში

**ფილიპინების** რესპუბლიკის პრეზიდენტი ფერდინანდ ე. მარკოსი და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი 2 ივნისს ეწვივნენ მუზეუმს — „ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“. საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში მათ შთაბეჭდილება ჩაწერეს.

**შემდეგ** პრეზიდენტი გაეცნო კრემლის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

**იმავე** დღეს საპატიო სტუმარი ეწვია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს და გაეცნო მის საქმიანობას.

**საუბრის** დროს ფ. მარკოსმა მხარი დაუჭირა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ფილიპინების ნაყოფიერ და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას. სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, — აღნიშნა მან, — ფილიპინების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის შედეგების ლიკვიდაციას.

**2 ივნისს** კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ფილიპინების დოკუმენტების ხელმოწერა. (საკკლისი).

2 ივნისი

# „პრავდის“ ფურცლებზე

**გუშინ** „პრავდამ“ პირველ-მეორე გვერდებზე გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

7 მაისს „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ეკონომიური მიმოხილვა „დაკვეთა კანონია“, რომელშიც ლაპარაკი იყო საგეგმო დისციპლინის განმტკიცებასა და სამეურნეო ხელშეკრულებების როლის ამაღლებაზე. რედაქციამ მრავალი წერილი და გამოხმაურება მიიღო მკითხველებისაგან, რომელთაც ზოლევებს ეს ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა. გუშინდელი ნომრის ფურცლებზე დაბეჭდილია ერთ-ერთი ასეთი გამოხმაურება — სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილის დ. უკრაინსკის წერილი — „დავიცვათ ხელშეკრულება!“.

**მეოთხე** გვერდზე წაიკითხავთ რეპორტაჟს პატარა ყველანმავალზე — „ჭირკუტანა უტიავს უგზოობას“.

**აქვე** ნახავთ ლ. თაიროვის ფელეტონს — „საზამთროები ტომარაში“.

**სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში**

# მეცხოველეობა — სამრეწველო საფუძველზე

## დღეს იხსნება საკავშირო თათბირ-სემინარი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების ტექნიკური მომსახურებისა და მოწყობილობათა რემონტის საკითხებზე

**ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ დაბანდებული სახსრების უმეტეს უკუგებას, არ დავქსაქსოთ რესურსები, უწინარეს ყოვლისა ისინი მოვახმაროთ მეცხოველეობის ფერმებისა და სხვა მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციას, უზრუნველვყოთ ახალი მუშეებლობის რაციონალური შესამება არსებული საწარმოო ნაგებობების რეკონსტრუქციასთან.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

**ბოლოს** სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გურჯაანის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, რომლებმაც მეცხოველეობის გაძღოლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას საფუძველად დაუდეს ეკონომიური ანალიზი, თვისებრივად ახალი ნაბიჯი გადადგეს წინ და მოკლე დროში შეძლეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გამოზრდასუქების საქმის კონცენტრაცია და სამრეწველო საფუძველზე გადაყვანა. ამ რგოლის კონცენტრაციამ შესაძლებლობა მისცათ დასდგომოდნენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდების კურსს.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში გურჯაანის კომბინირებული საკვებისა და ვიტამინიანი ბალახის ფეხვნილის წარმოების სამეურნეობათშორისო

# კომბინირებული საკვების სიკეთე

**გვესაუბრება გურჯაანის კომბინირებული საკვებისა და ვიტამინიანი ბალახის ფქვილის სამეურნეობათშორისო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე**

**ვ. მახარობლიშვილი.**

გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ ვ. მახარობლიშვილმა თქვა:

— მეცხოველეობის სპეციალიზაცია რაიონში იმით დაიწყო, რომ სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანება ერთ-ერთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა, რომლის მეპაიე გახდა რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. მოკლე დროში მნიშვნელოვანი მედეგები მოვიპოვეთ. ჩინებული მაჩვენებლების მიღწევა უზრუნველყო მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

წარმატებანი გვახარებენ, მაგრამ ბევრ რამესაც გვაკლებენ. მიმდინარე წელს ვაწარმოებთ დაახლოებით 13 ათას ტონა კომბინირებულ საკვებსა და სამი ათას ტონა ვიტამინიან ბალახის ფეხვნილს. დაძაბული მუშაობა მოგველის. ეს რაოდენობა შესაძლებლობას მოგვცემს თითქმის მთლიანად უზრუნველყოთ რაიონის ფერმები და მეცხოველეობის კომპლექსები საკუთარი წარმოების საკვებით.

აი, რა შედეგებს მივაღწიეთ. ათი თვის მუშაობის მანძილზე გაერთიანებამ მიიღო თითქმის 50 ათასი მანეთი მოგება. ახლა წარმოების გაფართოება, ახალი მოწყობილობის შეძენა და დადგმა მიმდინარეობს ამ სახსრების ხარჯზე.

საწარმოში ფართოდ ინერგება მექანიზაცია, მაგალითად, ვიტამინიანი ბალახის ფეხვნილის დანადგარების ექსპლოატაციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ არსებულ პირობებში მუშავე მასის მიწოდების მექანიზაციის შედეგად შეიძლება არსებითად გაიზარდოს დანადგარების მწარმოებლობა და გათავისუფლდეს ნუშა-ხელი. ამ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ საკრძნობი ეკონომია — წელიწადში დაახლოებით 35 ათასი მანეთი მოგვცა.

რაიონში მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

გაერთიანების მუშაკებმა გადაწყვეტეს მოაგვარონ უყოთიანი გრანულების წარმოება. ნამჯისა და კომბინირებული საკვების ნარევისაგან შემდგარ გრანულებს კარგად ჭამს პირუტყვი. ახლა ყველაფერი მზად არის ამ გრანულების წარმოებისათვის დანადგარებს დასამონტაჟებლად.

ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. უახლოეს მომავალში დავიწყებთ კომბინირებული საკვების დანამატიანი მწვანე მასის ბრიკეტების გამოშვებას. ბრიკეტების აუცილებლობას მოწმობს ასეთი ფაქტი: მათი მწვანე მასა ინარჩუნებს თითქმის 90 პროცენტ კაროტინსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს.

წარმატებანი ცხადია, მაგრამ მაინც ბევრი პრობლემა გვაწუხებს. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება კომბინირებული საკვების — ხორც-ძვლისა და თევზის ფეხვნილის, ფოსფატების, საფუვრის, კარბამიდისა და სხვათა მიღებისათვის საჭირო ნედლეულის კომპონენტებს. ჩვენ დახმარებას ველით შესაბამისი რესპუბლიკური ორგანიზაციებისაგან.

# მეჯვრისხევში, ფრინველთა ქალაქში

**მეჯვრისხევის** მეფრინველეობის ფაბრიკის სამრეწველო-საფუძველზე გადაყვანამ, თავისი კეთილნაყოფიერი გავლენის ძალა უკვე გამოავლინა. ამჟამად ფაბრიკა 500.000-მდე ფრთა ფრინველს ითვლის და ამათგან 200.000 მოქცეულია.

ინდუსტრიული მეთოდის საკეთეზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ფაბრიკა რესპუბლიკის მოსახლეობას ყოველდღიურად 100.000 ცალზე მეტ კვერცხს და 2,5 ტონამდე ხორცს აწვდის.

ფაბრიკის კომპლექსში შედის 28 საფრინველე, საქვაბე, რომელიც ბუნებრივ გაზზეა გადაყვანილი, ადმინისტრაციული შენობა, სასაკლაო, კვერცხის დასახარისხებელი და საკვების შესამზადებელი საამქროები, ინკუბატორი, სანგამტარი საწყობები, ნაკელის-საშრობი აგრეგატი და სხვა.

ფაბრიკაში მექანიზებული და ავტომატიზებულია ძირითადი შრომატევადი სამუშაო პროცესები: საკვების შეშზადება და დარიგება, დაწყურება, კვერცხის შეგროვება და დახარისხება, ნაკელი გატანა, შენობების განიავება, ფრინველის დაკვლა, დამუშავება, ძვალხორცის ფქვილის დამზადება და სხვა.

მექანიზაციის წყალობით ჩვენთან ერთი მეფრინველე საშუალოდ 7000 ფრთა ბრილელი ასაკის, 6500 ფრთა მეორე ასაკის წიწილს, 10.000 ფრთა სარემონტო მოზარდს და 7500 ფრთა კვერცხმდებელ ფრინველს უვლის. ამჟამად, ჩვენთან ერთი მეფრინველე წელიწადში საშუალოდ აწარმოებს 1,5 მილიონ ცალ კვერცხს, იმაზე მეტს, რამდენსაც ამ 10 წლის წინათ რაიონის 20-ზე მეტი საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმა აწარმოებდა. ადრე ამ ფერმებს 100-ზე მეტი ადამიანი ემსახურებოდა.

მექანიზაციის სიკეთე მარტო წარმოების მოცულობით როდი განისაზღვრება, მისივე წყალობით წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. ყოველი 100 ცალი კვერცხის წარმოებაზე გაწეული ხარჯები 6 მანეთს არ აღემატება. მისი რეალიზაციიდან კი საშუალოდ 11 მანეთს ვღებულობთ. ამ გზით ფაბრიკამ მარშან 1200000 მანეთი წმინდა მოგება მიიღო. ხოლო რენტაბელობის ნორმამ 30 პროცენტს მიაღწია. ამ მაჩვენებლის მიხედვით ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა.

ერთ-ერთმა პირველებმა ავითვისეთ ნაკელის შრობის ახალი ტექნოლოგია, რომელსაც უდიდესი პერსპექტივა აქვს, გარდა იმისა, რომ გამშრალი ნაკელი ძვირფასი ორგანული სასუქია, მეცნიერი მუშაკები მისი ხელახალი გამოყენების საკითხს აშუშავებენ და, ეფიქრობთ, ეს უახლოეს დროში დადებითად გადაწყდება.

ფაბრიკის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მუშა-მოსამსახურეთა კულტურული და „საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გარკვეულ ღონისძიებებს იხორციელებენ.

მომავალში ფაბრიკის წინაშე უფრო ნათელი პერსპექტივებია დასახული. „კბუ-3“ მარკის გალეებით მიმდინარეობს აკლიმატიზატორების მოდერნიზაცია, რაც თავის მხრივ ფრინველების ტვირთობას ერთიორად ზრდის და შრომას მნიშვნელოვნად ამსუბუქებს. ყოველივე ზემოთაღნიშნულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ფაბრიკაში 80.000 მანეთამდე გამუშავებულ სამუშაოებია შესრულებული, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას: ფაბრიკის კოლექტივი შზად არის ღირსეულად შეხვდეს საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეებს.

**თ. ტუხიაშვილი,**

**მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.**

**ქლორელა.** ეს ერთუჯრედიანი წყალმცენარე, რომელიც მდიდარია ცილებით და ვიტამინებით, განსაკუთრებით კი ამინმჟავეებით, პირველად საქართველოში თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში წლეულს 25 მაისიდან გაჩნდა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის (დირექტორი პროფესორი ზ. ხანთაძე) მეცნიერი მუშაკების დახმარებით მეურნეობაში სპეციალურად მოეწყო ქლორელის წარმოება, რომლის შტამები შემოტანილია უზბეკეთიდან. ამ საქმისათვის მეურნეობაში სპეციალურად მოეწყო ლაბორატორია (უფროსი ო. რურუა).

საამქროში არის წყლის ორი აუზი, თვითეული 20 კვადრატული მეტრი ფართობისა. სწორედ ამ წყლის აუზებში ხდება ქლორელის ხსნარი შერევა ნახშირჟანგისა და 14 სხვადასხვა სახის ქიმიური პრეპარატებისა, რის შედეგადაც იღებენ მწვანე გამჭვირვალე ფერის ხსნარს ქლორელას, რომელიც ეძლევა მეწველ ძროხებს, თვითეულს დღეში 10 ლიტრის რაოდენობით, სპეციალური ცისტერნების საშუალებით. ცისტერნებზე მოწყობილია საწყურებლები.

ამ ახალმა საკვებმა, სხვა საკვებთან ერთად, პირველი დღიდანვე ხელი შეუწყო წველადობის ზრდას. მაგალითად, 27 მაისს თვითეულ მეწველ ძროხაზე 19 კილოგრამი რძე მიიღეს, შემდეგ დღეებში ეს რაოდენობა ყოველდღე მატულობს. ეს მაშინ, როდესაც მანამდე დღეში 15-16 კილოგრამ რძეს იღებდნენ. ამიერიდან მეურნეობას საშუალება ეძლევა ყოველდღე მეწველი ძროხებისათვის საკვებად დამატებით გამოიყენონ 10 ტონა ქლორელა.

წლეულს, 25 მაისიდან ექსპლოატაციაში შევიდა გრანულირებული საკვების საამქრო, სადაც ბალახის ფქვილის, უხეში საკვებისა და მარცვლეული ფურაჟის შერევით მეწველი ძროხებისათვის მზადდება გრანულირებული საკვები. ამ საკვებს საკვებურებში ყრიან სპეციალურ „კბუ-10“ მარკის მანქანით, რომელსაც ემსახურებიან მექანიზატორი შ. თურმანიძე, ფ. წამელაშვილი და ნ. ხახვიაშვილი. ისინი მორიგეობით მუშაობენ. ერთ მექანიზატორს შეუძლია საკვები 400-500 სულ პირუტყვს მიაწოდოს.

გრანულირებული საკვები მდიდარია ცილებით, ვიტამინებით და სხვა მიკროელემენტებით, რაც მოქმედებს რძის სიუხვეზე და მისი ცხიმიანობის ამაღლებაზე. აღნიშნული საკვები პირუტყვს ყოველდღე ეძლევა დღის მეორე ნახევარში სხვა საკვებთან ერთად.

მნახველის ყურადღებას იპყრობს დახურული სარწყავი სისტემით მოწყობილი მორიგეობითი საძოვარი. ეს მეურნეობაში მესამე სიახლეა. ამისათვის სპეციალურად გამოუყვიათ 128 ჰექტარი ფართობი. საძოვარზე დათესილია ხუთი სახის ბალახნარევი: იონჯა, მდელოს წივანა, უფხო შვრია, სათითურა და კოინდარი — ჰექტარზე 35 კილოგრამი, რომელიც 8-10 წლის განმავლობაში შეიძლება გამოვიყენოთ.

საძოვარზე მოსარწყავად მოუწყვიათ საწვიმარი დანადგარები, რომელსაც მართავს ოპერატორი ო. გაგუა. მოძოვების შემდეგ ახდენენ დარჩენილი ბალახის გათიბვას, საუქების შეტანას, დაფარცხვას და მორწყვას. წლის განმავლობაში ჰექტარზე შეაქვთ 80-90 კილოგრამი ფოსფორი, 90 კილოგრამი აზოტი და 65 კილოგრამი კალიუმი. ასეთი მუშაობით დაახლოებით 22 დღემდე ისე იზრდება ბალახი, რომ შეიძლება გამოიყენონ პირუტყვის საკვებად.

მეურნეობაში 1.500-მდე პირუტყვია. აქ დროზე და ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შექმნისათვის. საკვებმომპოვებლები ყოველდღიურად სასენაგედ 500-მდე ცენტნერ მწვანე მასას ამზადებენ. უკვე დამზადებულია 6.000 ცენტნერზე მეტი სენაჟი.

აი ის დამატებითი საკვები, რომლითაც აღწევენ მეურნეობაში რძის სიუხვეს.

ყურადღებას იპყრობს სპეციალურად მოწყობილი საწველი განყოფილება. აქ დამონტაჟებულია „უდტ-6“ მარკის საწველი დანადგარები. ერთ მწველელას შეუძლია ერთდროულად მოწველოს 100 ძროხა. ამ საქმეს კარგად დაუფლებიან ოპერატორები ნინო წიკლაური, ლუბა ისაევი, ლუბა მაისურაძე და ნანული ვართანოვი.

მოწველილი რძე მინის მილების საშუალებით იგზავნება რძის საამქროში, სადაც წონიან, შემდეგ აცივებენ და სპეციალური ცისტერნით აბარებენ რძის კომბინატს ან გზავნიან პირდაპირ სავაჭრო ქსელში. ყოველდღე წველიან დაახლოებით 4-4,5 ტონა რძეს. რძის დამზადების საამქროში (უფროსი კ. ჭეკალაძე) კარგად მუშაობს ლაბორანტი ა. ჩოჩაბაშვილი.

ფერმაში ყველა სახის სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულია მექანიზაცია. მეწველი ძროხები დაუმმელად ჰყავთ. აქვე მოწყობილია პირუტყვის სასეირნო მოედანი, წვიმის თავშესაფარი ადგილი და სხვ.

შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაციის დანერგვამ მეურნეობას საშუალება მისცა მიიღოს მეტი და უფრო იაფი რძე. მაგალითად, თუ რესპუბლიკაში ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე 16 კაცსაათი იხარჯება, მეურნეობაში მხოლოდ 3,2 კაცსაათი სჭირდებათ.

კარგად მოუწყვიათ ხბოების გაზრდა. ამისათვის ჯამოყოფილია ცალკე ნაგებობა — სახბორე, სადაც ხბოებს 4 თვის ასაკამდე უვლიან. აქვე შექმნილია ჯგუფური განყოფილება და წლოვანების მიხედვით ხდება ხბოების მოვლა. ამ საქმისათვის შერჩეული არიან გამოცდილი მუშაკები გ. მღებრიშვილი, ბ. ბალიაშვილი, ვ. აფციაური.

ოთხი თვის შემდეგ ხბოები გადაჰყავთ მოზრდილთა ჯგუფში და იქ მანამ უვლიან, სანამ არ მიაღწევს 24-26 თვეს. სახარე ხბოებს კი 20-30 დღის შემდეგ გასასუქებლად ბიდან მოესმა ოპერატორის ხმა, საკვების დამრიგებელი აპარატი დაზიანდა, ადგილზე ვერ გავაკეთეთ, მეწველი ძროხების კვება ფერხდებოდა... მეურნეობის დირექტორი, სანამ პარტიის რაიონულ კომიტეტში შევიღოდა, სოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებაში მივიდა და დახმარება ითხოვა. დაზიანებული საკვებურის შესაკეთებლად სწრაფად გაგზავნეს სპეციალისტი და 2-3 საათში რემონტი გაუკეთდა დანადგარის დაზიანებულ ნაწილს.

საწველი აპარატის დანადგარის ერთ-ერთი ნაწილი გაფუჭდა. ამისათვის სოფლტექნიკის ექსპერიმენტულ ქარხანასთან და ტექმომსახურების სადგურთან ადგილზე როდი მივიდნენ, რადიოტელეფონით დაუკავშირდნენ და მათი სპეციალისტების დახმარებით სულ მოკლე დროში აღადგინეს დაზიანებული ნაწილი. აქ ასეთი შემთხვევა ცოტა როდია.

ამ დღეებში ფერმაში ასეთი სიახლეც დაინერგა: კომპლექსის საოპერატორაში სპეციალურად მოაწყეს ტელევიზორი, გამოყვეს ოპერატორი და ტელევიზორის მეშვეობით თვალყურს ადევნებენ ფერმა-კომპლექსში ყველა სამუშაოს მიმდინარეობას, პირუტყვისათვის საკვების დარიგებას, დაწყურვებას, წველას პრაქტიკას და სხვ. თუ რაიმე შეფერხდა, ოპერატორს შესაძლებლობა აქვს რადიო-ტელეფონით სწრაფად აცნობოს მეურნეობის ხელმძღვანელობას. ამ სიახლემ მეურნეობას დიდი ეფექტი მისცა.

დიდია მექანიზაციის სიკეთე საკვებმოსამზადებელ საამქროებში, მეურნეობაში დანერგილია საკვებმოსამზადების **კომპლექსური** მექანიზაცია. საკვები კულტურების თესვა-მოყვანა, მოსავლის აღების, მისი დაშზადების და მზა საკვების პირუტყვისათვის მიწოდების სამუშაოები მანქანებით სრულდება. სწორედ კომპლექსური მექანიზაციის სიკეთეა, რომ მეურნეობაში ასე უხვად ამზადებენ ყველა სახის საკვებს, რომ წლეულს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 3 ათასი კილოგრამი რძისათვის იბრძვიან ნაცვლად შარშან მიღებული 2.879 კილოგრამისა.

ერთი სიტყვით, მეურნეობაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი რძე მივიღოთ. თვითეული მწველავი თვეში საშუალოდ 190-200 მანეთს იღებს. მეურნეობამ მარტო წლევანდელი წლის ხუთ თვეში 5.200 ცენტნერზე მეტი რძე აწარმოა ნაცვლად 5.000 ცენტნერისა, ერთი ცენტნერი რძის შიღებაზე 3,4 კაცსაათი დაიხარჯა ნაცვლად 3,7 კაცსაათისა.

და ვინ მოთვლის მეურნეობაში რამდენი სიახლე და სასარგებლო საქმე გაკეთდა და კეთდება მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის.

საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეთათვის, სხვა საწარმოებთან ერთად, საჩვენებელ ობიექტად შერჩეულია თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა (დირექტორი — ვეტერინარის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ნადირაძე, მთავარი აგრონომი — ტ. კურცხალია, პარტორგანიზაციის მდივანი — ი. ალავიძე, მთავარი ვეტექიმი — ტ. ყვავაძე, მთავარი ზოოტექნიკოსი — ა. ზარაფიშვილი). ცხადია ამ მეურნეობის დათვალიერებამ ბევრი რამ შეიძლება მისცეს სემინარის მონაწილეებს და თვითონაც ბევრი რამ ისწავლონ მათგან.

**შ. ჭოჭუა,**

**„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.**

* * *

**სურათებზე: ზემოთ — კოშკები, სადაც თვითეულში 2.000 ცენტნერი სასილოსე მასა ეტევა. ქვემოთ — თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ა. ზარაფიშვილი (მარცხნივ) და რძის საამქროს უფროსი გ. ბაქრაძე ამოწმებენ საკვების ხარისხს.**

**ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## სიტყვა — სემინარის მონაწილეებს

### მძლავრი ტექნიკა — სოფელს

**სოფლის** მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების „რესპუბლიკურმა კანტორამ ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა. ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა დახურული საგამოფენო პავილიონი, რომლის ფართობი 900 კვადრატული მეტრია. აქ გამოფენილია მეცხოველეობის ფერმების, დანადგარები სამუშაო მდგომარეობაში, სადაც დაინტერესებულ სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ და მის მაგალითზე ფერმებში მოაწყონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ერთ-ერთ შეხვედრაში მნახველთა ყურადღებას იპყრობს სასოფლო-სამეურნეო მანქანაიარაღების მარაგნაწილების, სპეციტანსაცმლის გამოფენა.

ერთი სიტყვით, მძლავრი ტექნიკა ადამიანს უმსუბუქებს შრომას, ზრდის მოწამოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს, ამცირებს მიღებული პროდუქტების თვითღირებულებას.

**ვ. გოგლიძე,**

**რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკური კანტორის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## საქართველოში პირველი

**ამ** დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლუღის პურ-პროდუქტების კომბინატის კარამბიდის კონცენტრატის საწარმო, რომელიც დამზადების სამინისტროს ხაზით პირველია საბჭოთა კავშირში.

პირუტყვისათვის ახალი საკვების — კარამბიდის (ბოლოდ მცოხნავ საქონელს ეძლევა) შემადგენლობაში შედის 78 პროცენტი დაფქული მარცვალი, 20 პროცენტი კარამბიდი და 5 პროცენტი ბენტონიტი. ამით მზადდება ნარევი და მისი გამოყენებით შეიძლება 25-30 პროცენტით შეეკვეთოთ საკვები ცილების დეფიციტი.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ერთი კილოგრამი კარამბიდი ეკვივალენტურია 2,6 კილოგრამი მინერალებიდან ცილებისა და საშუალებას იძლევა დამატებით მივიღოთ 10 კილოგრამი რძე, 2 კილოგრამი ყონამატება მსხვილფეხა რქიან პირუტყვში, 1,5 კილოგრამი ცხვარში.

ამიერიდან პურკომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს 12 ათას ტონამდე კარამბიდის კონცენტრატს.

**ვ. ბესელია,**

**საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორი.**

# ჟურნალი: კომპლექსური მექანიზაცია

**მეჯვრისხევის** ფაბრიკის სამრეწველო-საფუძველზე გადაყვანამ, თავისი კეთილნაყოფიერი გავლენის ძალა უკვე გამოავლინა. ამჟამად ფაბრიკა 500.000-მდე ფრთა ფრინველს ითვლის და ამათგან 200.000 მოქცეულია.

ინდუსტრიული მეთოდის საკეთეზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ფაბრიკა რესპუბლიკის მოსახლეობას ყოველდღიურად 100.000 ცალზე მეტ კვერცხს და 2,5 ტონამდე ხორცს აწვდის.

ფაბრიკის კომპლექსში შედის 28 საფრინველე, საქვაბე, რომელიც ბუნებრივ გაზზეა გადაყვანილი, ადმინისტრაციული შენობა, სასაკლაო, კვერცხის დასახარისხებელი და საკვების შესამზადებელი საამქროები, ინკუბატორი, სანგამტარი საწყობები, ნაკელის-საშრობი აგრეგატი და სხვა.

ფაბრიკაში მექანიზებული და ავტომატიზებულია ძირითადი შრომატევადი სამუშაო პროცესები: საკვების შეშზადება და დარიგება, დაწყურება, კვერცხის შეგროვება და დახარისხება, ნაკელი გატანა, შენობების განიავება, ფრინველის დაკვლა, დამუშავება, ძვალხორცის ფქვილის დამზადება და სხვა.

მექანიზაციის წყალობით ჩვენთან ერთი მეფრინველე საშუალოდ 7000 ფრთა ბრილელი ასაკის, 6500 ფრთა მეორე ასაკის წიწილს, 10.000 ფრთა სარემონტო მოზარდს და 7500 ფრთა კვერცხმდებელ ფრინველს უვლის. ამჟამად, ჩვენთან ერთი მეფრინველე წელიწადში საშუალოდ აწარმოებს 1,5 მილიონ ცალ კვერცხს, იმაზე მეტს, რამდენსაც ამ 10 წლის წინათ რაიონის 20-ზე მეტი საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმა აწარმოებდა. ადრე ამ ფერმებს 100-ზე მეტი ადამიანი ემსახურებოდა.

მექანიზაციის სიკეთე მარტო წარმოების მოცულობით როდი განისაზღვრება, მისივე წყალობით წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. ყოველი 100 ცალი კვერცხის წარმოებაზე გაწეული ხარჯები 6 მანეთს არ აღემატება. მისი რეალიზაციიდან კი საშუალოდ 11 მანეთს ვღებულობთ. ამ გზით ფაბრიკამ მარშან 1200000 მანეთი წმინდა მოგება მიიღო. ხოლო რენტაბელობის ნორმამ 30 პროცენტს მიაღწია. ამ მაჩვენებლის მიხედვით ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა.

ერთ-ერთმა პირველებმა ავითვისეთ ნაკელის შრობის ახალი ტექნოლოგია, რომელსაც უდიდესი პერსპექტივა აქვს, გარდა იმისა, რომ გამშრალი ნაკელი ძვირფასი ორგანული სასუქია, მეცნიერი მუშაკები მისი ხელახალი გამოყენების საკითხს აშუშავებენ და, ეფიქრობთ, ეს უახლოეს დროში დადებითად გადაწყდება.

ფაბრიკის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მუშა-მოსამსახურეთა კულტურული და „საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გარკვეულ ღონისძიებებს იხორციელებენ.

მომავალში ფაბრიკის წინაშე უფრო ნათელი პერსპექტივებია დასახული. „კბუ-3“ მარკის გალეებით მიმდინარეობს აკლიმატიზატორების მოდერნიზაცია, რაც თავის მხრივ ფრინველების ტვირთობას ერთიორად ზრდის და შრომას მნიშვნელოვნად ამსუბუქებს. ყოველივე ზემოთაღნიშნულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ფაბრიკაში 80.000 მანეთამდე გამუშავებულ სამუშაოებია შესრულებული, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას: ფაბრიკის კოლექტივი შზად არის ღირსეულად შეხვდეს საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეებს.

**თ. ტუხიაშვილი,**

**მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.**

# კომბინირებული საკვების სიკეთე

**გვესაუბრება გურჯაანის კომბინირებული საკვებისა და ვიტამინიანი ბალახის ფქვილის სამეურნეობათშორისო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე**

**ვ. მახარობლიშვილი.**

გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ ვ. მახარობლიშვილმა თქვა:

— მეცხოველეობის სპეციალიზაცია რაიონში იმით დაიწყო, რომ სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანება ერთ-ერთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა, რომლის მეპაიე გახდა რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. მოკლე დროში მნიშვნელოვანი მედეგები მოვიპოვეთ. ჩინებული მაჩვენებლების მიღწევა უზრუნველყო მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

წარმატებანი გვახარებენ, მაგრამ ბევრ რამესაც გვაკლებენ. მიმდინარე წელს ვაწარმოებთ დაახლოებით 13 ათას ტონა კომბინირებულ საკვებსა და სამი ათას ტონა ვიტამინიან ბალახის ფეხვნილს. დაძაბული მუშაობა მოგველის. ეს რაოდენობა შესაძლებლობას მოგვცემს თითქმის მთლიანად უზრუნველყოთ რაიონის ფერმები და მეცხოველეობის კომპლექსები საკუთარი წარმოების საკვებით.

აი, რა შედეგებს მივაღწიეთ. ათი თვის მუშაობის მანძილზე გაერთიანებამ მიიღო თითქმის 50 ათასი მანეთი მოგება. ახლა წარმოების გაფართოება, ახალი მოწყობილობის შეძენა და დადგმა მიმდინარეობს ამ სახსრების ხარჯზე.

საწარმოში ფართოდ ინერგება მექანიზაცია, მაგალითად, ვიტამინიანი ბალახის ფეხვნილის დანადგარების ექსპლოატაციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ არსებულ პირობებში მუშავე მასის მიწოდების მექანიზაციის შედეგად შეიძლება არსებითად გაიზარდოს დანადგარების მწარმოებლობა და გათავისუფლდეს ნუშა-ხელი. ამ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ საკრძნობი ეკონომია — წელიწადში დაახლოებით 35 ათასი მანეთი მოგვცა.

რაიონში მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

გაერთიანების მუშაკებმა გადაწყვეტეს მოაგვარონ უყოთიანი გრანულების წარმოება. ნამჯისა და კომბინირებული საკვების ნარევისაგან შემდგარ გრანულებს კარგად ჭამს პირუტყვი. ახლა ყველაფერი მზად არის ამ გრანულების წარმოებისათვის დანადგარებს დასამონტაჟებლად.

ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. უახლოეს მომავალში დავიწყებთ კომბინირებული საკვების დანამატიანი მწვანე მასის ბრიკეტების გამოშვებას. ბრიკეტების აუცილებლობას მოწმობს ასეთი ფაქტი: მათი მწვანე მასა ინარჩუნებს თითქმის 90 პროცენტ კაროტინსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს.

წარმატებანი ცხადია, მაგრამ მაინც ბევრი პრობლემა გვაწუხებს. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება კომბინირებული საკვების — ხორც-ძვლისა და თევზის ფეხვნილის, ფოსფატების, საფუვრის, კარბამიდისა და სხვათა მიღებისათვის საჭირო ნედლეულის კომპონენტებს. ჩვენ დახმარებას ველით შესაბამისი რესპუბლიკური ორგანიზაციებისაგან.

# გორელი მექანიზატორები



## როცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ეფექტურად იყენებენ

**ბოლო** სტეფანე ლიმარი ოცდაათ წელზე მეტია გორელ მექანიზატორებთან ერთად შრომობს. ამას წინათ „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების კოლექტივმა სტეფანე საატო დარაბაზში მიიწვია. დიდი სიყვარულით, გულთბილად აღნიშნეს ამ ღვაწლმოსილი მუშა კაცის 70-ე წლისთავი.

დიახ, საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, როცა რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი თითქმის კუსტარულ სახელოსნოებზე იყო დამოკიდებული...

დღეს გორის გაერთიანებაში ათასზე მეტი მექანიზატორი და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს. გაერთიანების შესასვლელში აღმართულ მაჩვენებელ დაფაზე თორმეტი დასახელების ობიექტია აღნიშნული. ჩაიკითხავთ სიას ბოლომდე და უნებურად იტყვით, მექანიზატორთა დასახლებაში მოვხვდითო.

გაერთიანების სიდიდეზე ისიც მეტყველებს, რომ მის ჩამოყალიბებამდე (1963 წელი), რაიონში მექანიზაციით მხოლოდ 257.100 მანეთის სამუშაო სრულდებოდა. მარტო შარშან კი ამ მაჩვენებელმა სამ მილიონ 844 ათასი მანეთს გადააჭარბა.

საკავშირო სოფლტექნიკის სისტემაში გორის გაერთიანება ერთადერთია, რომელიც რაიონის კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას სრულ საწარმოო ტექნიკურ მომსახურებას უწევს. ისე რომ, ეს გაერთიანება უძლიერესი ორგანიზაციაა. მის ბალანსზე სამ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ირიცხება.

რა თქმა უნდა, ასეთ მძლავრ მანქანა-იარაღებს უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი სარემონტო სახელოსნოებიც სჭირდება. ამ მხრივაც უზრუნველყოფილია გორის გაერთიანება.

მექანიზატორების სამსახურშია „დტ-75“ მარკის ტრაქტორების სპეციალიზებული სარემონტო სახელოსნო, ავტომანქანებისა და სარაიონთაშ

# მეცნიერული პროგრესის ჰორიზონტები

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

**კომუნისტურმა** პარტიამ საბჭოთა მეცნიერებს მოუწოდა ეამაგონ მეცნიერების როლი კომუნისტურ მშენებლობაში, განამტკიცონ მისი კავშირი ცხოვრებასთან. სკკპ XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი მეცნიერული იდეების პრაქტიკული დანერგვა დღეს ორანაკენ მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი შემუშავება. მეცნიერებათა აკადემიის ამოცანებს ამ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში პროგრესის მშვენიერებისათვის მებრძოლნი აკადემიის საერთო კრება, რომელიც 1 ივნისს დამთავრდა მოსკოვში.

შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხთა მეცნიერები დიდად ამაყობენი ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით მშენებლობენ გადასვლას სოციალიზმიდან კომუნიზმზე. ყრილობაზე დაკონკრეტებულია პარტიის სტრატეგია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საკითხებზე მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, ღრმად თეორიულად არის გაშუქებული ჩვენი შემდგომი განვითარების მიმართულებები და ამოცანები. ამასთანავე დამაჯერებლად ფიქრობენ, ეს ნიშნავს სრულგაყოთ მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და ორგანიზაცია, საშეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, უკეთ გამოვიყენოთ არსებული კადრები და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი, დავიჩქაროთ პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების გამოყენება, ვეცადოთ, უწინარეს ყოვლისა, არა მეცნიერ მუშაკთა რიცხვის ზრდას, არამედ მათი შრომის ნაყოფიერების, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი პრობლემაა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უსწრაფესი გამოყენება სახალხო მეურნეობაში, სოციალურ განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში. ამ საკითხის გადაწყვეტაში წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობა შეიძლება გახდეს სამეცნიერო-საწარმოო პროცესის ყველა ზაზი გაუსვა შემდეგ მომხსენებელმა, მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეასრულოს ხანგრძლივი ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასაბუთებაში. კერძოდ, ყველა აკადემიის დაწესებულებისათვის კვლევითი მუშაობის კოორდინაციის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის პროექტის სრულყოფა. და დღეს ჩვენ დეტალურად უნდა გავაანალიზოთ ის ურთიერთდაკავშირებული ამოცანები, რომლებიც უნდა დადაწყდეს კომპლექსურ პროგრამაზე შემდგომი მუშაობის დროს.

აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა საერთო კრებს მოახსენა სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციისა და გარკვეული გარდაქმნის ახალი მიმართულებანი, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობენ. ზაამაღლოთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა და ხარისხი, ეს ნიშნავს სრულგაყოთ მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და ორგანიზაცია, საშეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, უკეთ გამოვიყენოთ არსებული კადრები და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი, დავიჩქაროთ პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების გამოყენება, ვეცადოთ, უწინარეს ყოვლისა, არა მეცნიერ მუშაკთა რიცხვის ზრდას, არამედ მათი შრომის ნაყოფიერების, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

კრების ბოლო დღეს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრთა არჩევნები. ეს საპატიო წოდება წილად ხვდა თანამედროვეობის 35 გამოჩენილ მეცნიერს, რომლებიც 17 ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები არიან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი. (საკადესი).

## ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲚᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲑᲖᲔ

**პ**არტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში ჩატარებულმა შემაჯამებელმა მეცადინეობებმა გამოავლინეს რესპუბლიკის მშრომელთა ღრმა დაინტერესება სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლისადმი, პარტიის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის მზადყოფნა.

# შრომა და სწავლა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ელექტრომექანიკური ქარხანაში პროდუქციის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის დონის ამაღლებას. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლება.

მეცადინეობის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების ნიშნით მოეწყო სკოლებისა და სემინარების შემაჯამებელი მეცადინეობანი, მას წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი საქმიანობა. პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ზ. ხვიჩია) წინასწარ იმსჯელა მეცადინეობათა მაღალ იდეურ დონეზე მოწყობის საკითხებზე.

ელექტრომანქანების საამქროში სკოლის „სოციალიზმი და შრომა“ (სწავლების მეორე წელი) მეცადინეობა მიეძღვნა თემას „პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში“.

პრეზიდიუმმა, ქარხნის მთავარმა მექანიკოსმა თ. დარახველიძემ მაქანიკოსებთან გაიკრა მეცადინეობის მიზანი, ამასთან მიმოიხილა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბოლო ხანების მნიშვნელოვანი მოვლენები. კერძოდ, ხაზი გაუსვა იმას, რომ ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებაში — გეგმის გადამეტებით წარმოებული იქნას 135 მილიონი მანეთის პროდუქცია, — ქარხნის კოლექტივის წვლილი 500 ათასი მანეთით განისაზღვრება.

ცალკეულ საკითხებზე ისაუბრეს დაკარგი ცოდნა გამოავლინეს მსმენელებმა პ. გრიგალაშვილმა, ა. წითაძემ, ბ. გოგატაძემ, გ. ძიგავამ, გ. ხურციძემ და სხვებმა.

ისინი თეორიული საკითხების გაშუქებასთან ერთად საუბრობდნენ ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაზე, პირად მაჩვენებლებზე, ახალ ამოცანებზე, იყენებდნენ თვალსაჩინოების მასალებს — რუკასა და დიაგრამებს.

მეცადინეობაზე ისიც აღინიშნა, რომ მსმენელებმა თ. ბერკაშვილმა, მ. ბუბაშვილმა, ჯ. გუმბერიძემ, ა. კოხიამ და ბევრმა სხვამ გაანალიზა 1976 წლის პირადი გეგმა და ახლა 1977 წლის ანგარიშში მუშაობს.

შემაჯამებელი მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# როცა პასუხისმგებლობა დიდია

**თ**ელავის წინდის ფაბრიკაში სამუშაო დღე დამთავრდა. „წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლების“ სკოლის მსმენელებმა დანიშნული დროისათვის მოიყარეს თავი. ამ სკოლაში მეორე სასწავლო წელი მთავრდებოდა. პროპაგანდისტმა — ფაბრიკის დირექტორმა ლ. სვანიძემ მეცადინეობა ჩინებულად წაიყვანა. სკოლაში ბოლო თვეებში სკკპ XXV ყრილობის მასალებს სწავლობდნენ.

სკოლის მსმენელმა თ. ქურციკაძემ კარგად განმარტა საკითხი: სკკპ საერთაშორისო საქმიანობის შესახებ — სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, სოციალისტური სამყაროს ისტორიული წარმატებანი, მისი ძლიერებისა და გავლენის ზრდა.

საკითხებზე — მეცხრე ხუთწლედის შედეგები და პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი ამოცანები მეათე ხუთწლედი, პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში — ილაპარაკეს ქ. სიხარულაშვილმა, ე. ბარკოზაშვილმა, მ. იაგორაშვილმა, ვ. გერგაულმა, ლ. სუმბაძემ, რ. ფრუიძემ, დ. ბატიაშვილმა, ნ. სხირტლადეზე — და სხვებმა. თვითეული მსმენელის საუბარი დაკავშირებული იყო ფაბრიკის საწარმოო პროცესებისა და წარმოების ეკონომიკის საკითხებთან, ფაქტობრივ მასალებთან.

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

## ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ — „ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ — ᲨᲔᲛᲔᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲓᲐᲜ“

# რატომ არ ინერგება პროგრესული მეთოდი

**ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗ ᲧᲣᲐᲓᲦᲘᲡᲘᲐᲜᲘ:** ჩვენი ქვეყნის ბევრ მხხვილ სამრეწველო საწარმოში შემოღებულია და წარმატებით ხორციელდება მშრომელებთან ანგარიშსწორების პროგრესული წესი — ხელფასის გაცემა შემნახველი სალაროდან. ამ სიახლის ხეკეთებზე იყო ლაპარაკი „კომუნისტის“ 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში. მასში ამავე დროს აღძრულ იყო საკითხი, თუ რატომ უფრო აქტიურად არ ინერგება იგი ჩვენი რესპუბლიკის დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ვბეჭდავთ ზოგიერთ წერილს იმ გამოხმაურებებიდან, რომელიც მიიღო რედაქციამ ამ სტატიის გამო.

## საჭიროა, უნდა გაკეთდეს!

**ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ** შემნახველი სალაროდან გაცემის თაობაზე „კომუნისტის“ 26 მარტის გამოსვლა მეტად საყურადღებო და მხარდაჭერის ღირსია. სოციოლოგები დიდი ხანია ამაზე ვფიქრობთ. გარდა იმ უპირატესობისა, რაზეც ავტორი ამახვილებს ყურადღებას (მშრომელთა დროის დიდი ეკონომია, კომუნალური თუ სხვა ანგარიშსწორების მოხერხებულობა და ა. შ.), საჭიროა გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე სხვა მომენტი.

განსაკუთრებით დიდ დაწესებულებებშია ხელფასის გაცემა გართულებული. მოლარე ვერ ასწრებს ათასობით თანამშრომლისთვის მის დარიგებას. ამიტომ ხელფასის გაცემა განაყოფების (მაგალითად, ფაკულტეტების) მიხედვით ხდება. მართალია, ეს უფრო მოხერხებულია, მაგრამ საგრძნობ საშიშროებასთან არის დაკავშირებული. ერთი თანამშრომელი პასუხისმგებელი ხდება (თუმცა მას ეს თანამდებობითი როდი ევალება) 30-50 კაცის ხელფასისათვის. ზოგჯერ არის ფულის დაკარგვის, გადაყოლების შემთხვევები. ამას წინათ 11 ათასი მანეთი გადმოაყოლა მოლარემ ჩვენს თანამშრომელს. მართალია, დროულად შევამჩნიეთ და ფული დავაბრუნეთ, მაგრამ დაუბრუნებლობის ფაქტებიც ყოფილა. ფულით ცდუნების კვალი არც ისე იოლი მოსაშორებელი აღმოჩნდა, საქმე კონფლიქტამდეც მივიდა... შემნახველი სალაროდან ხელფასის გაცემისას კი ეს არ მოხდება. ამ ფორმის უპირატესობა ისიც არის, რომ სხვადასხვა გარემოების გამო ფულს აღარ შეაგროვებენ, რაც უმეტესად ხელფასის დარიგების დღეებში ხდება ხოლმე (მართალია, თანამშრომელთა „სურვილით“, მაგრამ ამაში ბევრია „სხვა რა გზა იყოს“ მომენტი).

ამას გარდა, ხელფასის სრულად მიღების დღეებს ხშირად საკმაოდ ხელგაშლილი ხარჯვა მოჰყვება, ეს კი არღვევს საოჯახო ბიუჯეტს. შემნახველი სალაროდან ხელფასის მიღებისას, რა თქმა უნდა, ადამიანი იძულებული არ იქნება მთლიანად იღოს კუთვნილი ჯამაგირი, და იმდენს გამოიტანს, რაც მას იმ დროისათვის სჭირდება. მომჭირნეობა, რაც აგრერიგად აუცილებელია ბევრი ოჯახისათვის, განსაკუთრებული საჭიროებისათვის ნაწილ-ნაწილ დანაზოგის დაგროვება ამ ფორმით გაცილებით უკეთ მოგვარდება.

მოგებული დარჩებიან ადამიანები, მოიგებს სახელმწიფო — ბანკებიდან გაცილებით ნაკლები თანხა გავა ხელფასის სახით, მეტი ფული იბრუნებს...

ანგარიშსწორების ასეთი მეთოდი ბევრ ქვეყანაშია დანერგილი. ფულს ჯიბით როდი ატარებენ! ვფიქრობ, ამ მეთოდის მოხერხებულობა სადაო არ არის და საჭიროა განვახორციელოთ.

**ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲫᲕᲐᲩᲐᲮᲘᲐ,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

## ᲕᲘᲬᲣᲔᲑᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ** სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექციამ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების რესპუბლიკური სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა შემნახველი სალაროების საშუალებით ხელფასების გაცემის ორგანიზაციის თაობაზე და ორივე ერთი აზრისაა: მშრომელებთან ანგარიშსწორების ეს მეთოდი ქარხნის ჯერ ორ საამქროში განხორციელდება, იმ ანგარიშით, რომ შემდგომ მთელი საწარმო გადავიდეს მასზე.

შემნახველი სალაროსათვის სპეციალური შენობაა გამოყოფილი, საანგარიშო მანქანების შესაძენად კი ქარხანა სათანადო თანხას გაიღებს.

**Ე. ᲒᲖᲔᲜᲪᲐᲫᲔ,**
ქარხნის დირექტორი.

## ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** სტუმრად არის სსრ კავშირში ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი ჰაინრიხ სტანდენატი მეუღლითურთ, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოგზაურობს მათი გაცნობის მიზნით.

2 ივნისს ბატონი ჰ. სტანდენატი მიიღო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. დ. კიკნაძემ და ესაუბრა. საუბარში მონაწილეობდა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდეაძე. საუბარს დაესწრო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

ბატონი ჰაინრიხ სტანდენატი ეცნობა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. (საქინფორმი).

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

**ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ.** (საკადესი). აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მაჰმუდ ალ-აიუბის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-სირიის ორმხრივი ურთიერთობის ბევრ საკითხზე. გამოვლინდა, კერძოდ, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში დანამშრომლობის გაფართოებით.

მოლაპარაკების დროს შეეხნენ აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტიურად საერთაშორისო პრობლემებს, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, და მათ შორის ეკვევის საზაო კონფერენციის მუშაობის განახლების საკითხს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ფ. კუზნეცოვი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი გ. პ. სკორიკოვი;

სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის გენერალური მდივანის მოადგილე მ. ჯ. ბაკბუჯი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ეკონომიურ საკითხებში მ. პეიდარი, სირიის არაბთა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მ. თლასი და სხვები.

## ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

**ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ.** (საკადესი). 200 ათასზე მეტი სირიელი მოსწავლე აბარებს გამოცდებს საშუალო და მოსაშზადებელი სკოლის დამთავრების ატესტატის მისაღებად.

სასკოლო განათლების განვითარებას ქვეყანაში უპირველესი ყურადღება ეთმობა. თუ 1963 წელს განათლების საჭიროებისათვის გამოყოფილი იყო 150 მილიონი სირიული გირვანქა, შარშან ამ ციფრმა 651 მილიონს მიაღწია. იმავე პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი სხვადასხვა საფეხურის სკოლებში 774.748-დან 1.667.052-მდე გაიზარდა. თითქმის ერთიორად გადიდდა სკოლების რაოდენობა, შეიქმნა სამი ორწლიანი სასწავლებელი, რომლებიც დაწყებითი სწავლების მასწავლებლებს მოამზადებენ.

## ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ 15 ᲬᲔᲚᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲘ.** (საკადესი). საბჭოთა კავშირ-სომალის თანამშრომლობას მაღალი შეფასება მისცა სომალის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს ვიცე პრეზიდენტმა ჰუსეინ კულმიე აფრახმ.

ორი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის მე-15 წლისთავის გამო საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან ხაზი გაუსვა, რომ ამ შეთანხმებამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, სახელმწიფო სექტორის შექმნასა და განმტკიცებას. განვლილი წლების მანძილზე სსრ კავშირმა აგრეთვე დიდი წვლილი შეიტანა სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში, ეროვნული კადრების მომზადებაში, სომალის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში.

იდეოლოგიის დარგში და თანამედროვეობის ძირითად პრობლემებზე ჩვენი შეხედულებების ერთობამ გამოხატულება პოვა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში, რომელიც ხელმოწერილია 1974 წელს, როცა სომალში ვიზიტით იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. ამ ხელშეკრულებამ, თქვა სომალის ვიცე-პრეზიდენტმა, კიდევ მეტად განამტკიცა ჩვენი ხალხების ძმური ურთიერთობა.

## ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ**

## ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ

**ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ.** (საკადესი). პორტუგალიაში სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით აქ ჩამოვიდა საბჭოთა რევმატოლოგ მედიკოსთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. ხ. გაბრიელიანი და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის რევმატიზმის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ა. ნასონოვი.

## ᲙᲐᲨᲣ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** (საკადესი). კიდევ სამ პატარა შტატში გაიმართა პირველადი არჩევნები — ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანიის დაწყებითი ეტაპი, რომელმაც ბევრად შეიძლება განსაზღვროს პრეზიდენტობის კანდიდატები რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებისაგან. გარდა იმისა, რომ ამოწმებენ პრეტენდენტთა პოპულარობას, პირველად არჩევნებში ირჩევენ პარტიათა ეროვნული ყრილობების დელეგატებს.

პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა გაიმარჯვა როდ-აილენდის შტატში. მისი მეტოქე კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი რ. რეიგანი პირველობდა მონტანისა და სამხრეთ დაკოტის შტატებში. პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატის დასასახელებლად რესპუბლიკელთა ეროვნულ ყრილობაზე საჭიროა მინიმუმ 1.130 დელეგატის მხარდაჭერა. ჯ. ფორდს აწვდამად აქტივში აქვს 822, რ. რეიგანს — 651 ხმა.

დემოკრატიულ პარტიაში ლიდერობას ინარჩუნებს ჯორჯიის შტატის ყოფილი გუბერნატორი ჯ. კარტერი, რომელმაც ამჯერად გაიმარჯვა სამხრეთ დაკოტაში. მან უკვე შეაგროვა 905 ხმა. ყრილობაზე კანდიდატურის დასასახელებლად საჭიროა მინიმუმ 1.505 დელეგატის მხარდაჭერა.

პირველადი არჩევნების მორიგი ტურის შედეგების შეფასებისას ამერიკელი მიმოხილველები აღნიშნავენ, რომ საერთოდ მათ უმნიშვნელო გავლენა მოახდინეს ორივე პარტიისაგან პრეზიდენტობის პრეტენდენტთა პოზიციებზე. როგორც აქ მიაჩნიათ, გადამწყვეტი იქნება 8 ივნისის პირველადი არჩევნები, რომლებიც გაიმართება კალიფორნიის, ოჰაიოსა და ნიუ-ჯერსის შტატებში, სადაც უნდა აირჩიონ ეროვნული ყრილობების დელეგატთა მთელი რიცხვის მეექვსედი.

## ᲣᲚᲘᲛᲦᲐᲛᲝ ᲠᲘᲣᲒᲘᲚᲔ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** (საკადესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — პროფკავშირები, ზანგთა, ახალგაზრდობის, ქალთა ორგანიზაციები პირიბენ 4 ივლისს ფილადელფიაში მოაწყონ მანიფესტაციები და მიტინგები. მათი მიზანია ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ ბევრი კატეგორიის შშრომელთა, ღარიბთა მძიმე მდგომარეობას, ზანგთა და სხვა ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა აღმაშფოთებელი დისკრიმინაციის ფაქტებს, რასიტული და პოლიტიკური რეპრესიების მრავალ გამოვლინებას. ეს გამოსვლები უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ზეიმს.

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

მიუხედავად იმისა, რომ ამ დემონსტრაციების ორგანიზატორი გაერთიანებების წარმომადგენლები განუწყვეტლივ ხაზს უსვამენ დასახული მანიფესტაციების მშვიდობიან ხასიათს, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები წინასწარ აღვივებენ ისტერიულ კამპანიას, ცდილობენ დაშინონ ამერიკელი ობივატელი მონაჩმახებით გარდუვალი „ძალადობისა“ და „სისხლისღვრის“ შესახებაც.

ქალაქის მერმა ფ. რიზომ ამის გამო მოითხოვა ფილადელფიაში განალაგონ 15 ათასი ჯარისკაცი, რაც დაახლოებით ორ დივიზიას უდრის. გაზეთ „ფილადელფია ინკუაირერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მერი ამტკიცებდა, რომ ეს ძალები სჭირდებათ იმისათვის, რათა თავიდან აიცილონ ოფიციალური ზეიმის „ჩაშლა“.

დაგეგმილი მანიფესტაციების მიმართ ყალბი ბრალდებებით შენიღბულია ხელისუფალთა ცდები დემონსტრაციები „უკანონოდ“ წარმოსახონ და ამ საფუძველზე აკრძალონ ისინი. იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი „სწავლობს“ საკითხს იმის შესახებ, ხომ არ გადაიქცევა ეს მანიფესტაციები „სამოქალაქო არეულობად“.

*ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ*

**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ** გრძელდება მშრომელთა საგაზაფხულო შეტევა. გაიფიცნენ მრეწველობის ბევრი დარგის მუშაკები. პროფკავშირები, რომლებიც გაფიცულთ უდგანან სათავეში, მოითხოვენ ხელფასის მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას. მშრომელთა საგაზაფხულო ბრძოლის ერთობლივი მოწყობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მშრომელთა გამოსვლები ჩაატარონ ერთიანი ფრონტით.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** რძის წარმოების მუშაოა მიტინგზე.
ᲯᲐᲙᲘᲜ ᲠᲘᲡ-ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲘᲡ ფოტო.

## ᲚᲘᲑᲐᲜᲘ

## ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲒᲐᲜᲘ

**ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ.** (საკადესი). ლიბანში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ლიბანის დედაქალაქსა და მის გარეუბნებში გუშინდელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა გაფთრებული შეტაკებანი მემარჯვენე პარტიების შეიარღებულ ძალებსა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებულ რაზმებს შორის. წუხელ არტილერიისა და რაკეტების ცეცხლი დაუშინეს ქალაქის მთელ რიგ უბნებს, აგრეთვე პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკ საბრას. ბრძოლა გრძელდებოდა დედაქალაქის გარეუბნებში, აგრეთვე ლიბანის მთიან რაიონებში.

როგორც პრესა აღნიშნავს, შეიარაღებულმა შეტაკებებმა ლიბანში უაღრესად გაფთრებული ხასიათი მიიღო. მარტო უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში, იუწყება ბეირუთის გაზეთი „ორიან-ეური“, ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შეიარაღებული შეტაკებების დროს დაზოცილია 800-ზე მეტი და დაჭრილია 1.500-ზე მეტი კაცი.

## ᲔᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲖᲘᲙᲐ

### ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ** შეუდგნენ მუშაობას ზღვის ტალღების ენერგიით ელექტროდენის მისაღებად. ამ ტიპის პირველი ელექტროსადგურის აშენება გათვალისწინებულია 1980 წლისათვის. გარაუდობენ, რომ მისი სიმძლავრე 10 ათასი კილოვატი იქნება. ამას იუწყება გაზეთი „მორნინგ სტარი“.

### ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘ

**ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ** შტატის პოლიციის თავგზა აებნა: გამოჩნდა უჩვეულო მძარცველი. განსაკუთრებული ნიშნები — თეთრი ლაქები ზურგზე. როგორც 25 წლის ლინდა უაიტი და სხვა დაზარალებულნი ამტკიცებენ, მძარცველი თავს ესხმის მარტოდ მიმავალ ქალებს, ხელიდან გამოსტაცებს ფულიან ჩანთას და „ისე, რომ განაკვრესაც კი არ დაამჩნევს, თითიდან ძარობს ბეჭდებს“. ადგილობრივი დეტექტივი ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ „ძალს ხელმძღვანელობს გამოცდილი მწვრთნელი“, იუწყება ახალი ამბების საგენტო.

# ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ

**ᲠᲝᲛᲘ.** საკადესის კორესპონდენტი ვ. მალიშევი იუწყება: დალონებულ, ჩამოყრილ ადამიანთა ჯგუფი დგას ამერიკული სიონისტური ორგანიზაციების „ჯოინტისა“ და ჰიასის რომის განყოფილების კართან. მათ ხელში უჭირავთ პლაკატები. ვინ არიან ისინი და რატომ პიკეტობენ ამ დღეებში იმ ორგანიზაციების შენობას, რომლებიც, როგორც მათი ხელმძღვანელები ამტკიცებენ, მოწოდებული არიან „დაეხმარონ“ ებრაული ეროვნების პირებს?

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ისინი საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ. მათ ჰქონდათ სახლი, მათ ბავშვებს შეეძლოთ ესწავლათ სკოლებში, ხოლო თვითონ — ემუშავათ სპეციალობის მიხედვით, ესარგებლენ უფასო სამედიცინო მომსახურებით, სსრ კავშირის მოქალაქეთა ყველა უფლებით, ახლა მათ არა აქვთ არც სამშობლო, არც სამუშაო, არა აქვთ ის „თავისუფლებაც კი“, რომელსაც დიდის ამბით ჰპირდებოდა ბურჟუაზიული სიონისტური პროპაგანდა.

მათ ერთი-ორი წელი ძლივს გაძლეს ისრაელში, მერე კი გამოქცევნენ იქიდან. ამ ქვეყანაში, გაუცხადა საკადესის კორესპონდენტს ხანში შესულმა მამაკაცმა, რომელმაც გვიხოვა არ დაგვიხელფარნია მისი ვინაობა, რადგან სიონისტთა შურისძიების ეშინია, შეეძლებელია ცხოვრება. სიკვდილი მირჩევნია ისრაელში დაბრუნებას, თქვა მან. სიონისტებმა, რომლებიც ყველგან ებრაელთა „ძმობაზე“ ლაპარაკობენ, მოგვატყუეს. დასავლეთში ჩვენ წავიწყენდით ებრაელთა ორგანიზაციების გულგრილობას ჩვენი ბედის მიმართ. უკვე წელიწადია, განაგრძო მან, რაც რომში ვცხოვრობთ, არა გვაქვს სამუშაო, ბავშვები შიმშილობენ, ხოლო „ჯოინტელი“ და ჰიასელი ბატონები გვეუბნებიან: „თუ ისრაელში არ დაბრუნდებით, სულ

# ქლარს გერმანული მუსიკა

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეული სსრ კავშირში**

სოხუმი, 2 ივნისი. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთის სტუმრობა — სსრ კავშირისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის კვირეულის მონაწილეებმა კონცერტი გამართეს სოხუმის ს. ჭანბის სახელობის დრამატული თეატრის დარბაზში. კონცერტის დაწყების წინ აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი ა. არღუნი მიესალმა კვირეულის მონაწილეებს. შკარბილთ წარუდგინა საარის მხარის პრემიერ-მინისტრი ფრანციოზეფ რიოდერი, ქალაქ საარბრიუკენის ობერბურგომისტრი ო. ლაფფტენი, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის“ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ბისი.

კონცერტში, რომელშაც დიდი წარმატებით ჩაიარა, მონაწილეობდნენ ქალაქ საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის სიმღერის კვარტეტი და სასული ეკრავთა კვინტეტი, აგრეთვე საარბრიუკენის უნივერსიტეტის ვოკალური ანსამბლი. სოხუმელებმა მათი შესრულებით მოისმინეს ბახის, ჰაიდნის, მოცარტის, შუბერტის, ბრამსის მუსიკა, აგრეთვე გერმანული ხალხური სიმღერები. დარბაზი მხურვალედ შეხვდა ვოკალურ ანსამბლს, რომელმაც მშვენიერად შეასრულა ქართული სიმღერა „სულიკო“.

საარის კვირეულის მონაწილეთა კონცერტს დაესწრნენ ხაჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. რიგვავა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივნები გ. ჟორჟოლიანი, ზ. ავიძბა, სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მიკანბა.

გერმანული მუსიკა ამ დღეებში აუდერდა ბიჭვინთის ძველ ტაძარში. ახალი ათონის მიწისქვეშა სასახლეში სტუმრებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აფხაზეთის კაპელის გამოსვლა.

# რადიო — მუშაკებელთა სამსახურში!

ვიაბუნა. (საკ. კორ.). ამ დღეებში ვიაბუნაში ჩაირთო შვიდი რადიოკვანძი „კვარცი“. ივი მომსახურებას უწევს მშენებარე ობიექტებს. მშენებლებს ახლა აღარ სჭირდებათ ტრესტის სადისპეტჩეროსთან სატელეფონო კავშირი. ოპერატიულობის თვალსაზრისით რადიოკავშირი ძალზე მოსახერხებელია. სამშენებლო ობიექტი პირდაპირ უკავშირდება მშენებლობის ტრესტის სადისპეტჩეროს და აცნობებს ამა თუ იმ მასალის დაგვიანებით მოწოდების შემთხვევას. ასეთი ოპერატიული ურთიერთკავშირი აღმოფხვრის მოცდენებს, სამუშაოთა განრიგის დარღვევას.

ო. ნიკაბაძე.


**რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში**

# თვალი მიკროსკოპი

ლაქვარდი აჭრილი ალვების ბეივნით იწყება ახალი მეექანე დიღომში. ხეივნის მარჯვენა მხარეს, მეექანეების ყველაზე ახალი მობინადრის, ამიერკავკასიის რკინიგზის მე-2 კლინიკური საავადმყოფოს [მთავარი ექიმი ჯ. ქარუმიძე] ვეებერთელა შენობა აღმართულა. უახლესი სამკურნალო აპარატურით აღჭურვილ 500-საწოლიან ნათელ შენობაში, სადაც რკინიგზელთა ჯანმრთელობას მაღალკვალიფიციურ მეფიკოსთა დიდი არმია ემსახურება, ავადმყოფების ყოველგვარი გამოკვლევა და სპეციალიზებული სამკურნალო დახმარება თანამედროვე დონეზე ტარდება. საავადმყოფოში სისტემატურად ინერგება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში თუ უმაღლესი სასწავლებლების ხამუდიცინო კათედრებზე შემუშავებული მეცნიერული სიახლენი.

მკურნალობის უახლეს მეთოდებს წარმატებით იყენებენ თვალის სნეულებათა განყოფილებაში, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზად იქცა და ახალი, საინტერესო ცხოვრება დაიწყო.

მკურნალობაში დანერგილ ახალ მეთოდებსა და ახალ, თვალსაჩინო წარმატებებზე გვესაუბრება კათედრის დოცენტი, ახალგაზრდა მედიკოსი ია ბერაძე.

თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრა, რომელსაც პროფესორი ჯ. ანთელავა ხელმძღვანელობს, ამიერკავკასიაში მიკროქირურგიის ცენტრს წარმოადგენს და ამ პროფილით მაღალ კვალიფიციურ კადრებს უმზადებს ჩვენს ქვეყანას. განყოფილებაში ყველა სახის ოპერაცია კეთდება, როგორც ანტიგლაუკომატოზური, ისე სხვადასხვა სახის კატარაქტებისა და თვალის პათოლოგიისა და მხოლოდ საოპერაციო მიკროსკოპის მეშვეობით.

მიკროსკოპი თვალის ორგანოების გამოსახულებას მნიშვნელოვნად აღიდებს და მიკროქირურგიული ინსტრუმენტებით შესაძლებელს ხდის ისეთი ნატიფი სამუშაოების შესრულებას, რაც შეუიარაღებელი თვალით ძალზე ძნელია. ოპერაციის შედეგი ფრიდ ეფექტანი და ნაკლებად ტრავმულია.

ამ ბოლო დროს განყოფილებაში რამდენიმე რთული ოპერაცია გაკეთდა. ბადურგარსის ტოტალური ჩამოცილებით მკვეთრად მხედველობადაქვეთებულ ავადმყოფებს ქირურგიული ჩარევის შედეგად 10-დან 60 პროცენტამდე აღუდგა მხედველობა. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადების ქირურგია შემუშავდა და ფასიანად სწორედ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრაზე.

მაგრამ ისე არ გაგიგოთ, თითქოს მხოლოდ ქირურგიული ჩარევით ვმკურნალობდეთ. ხშირ შემთხვევაში მაღალ შედეგებს ვაღწევთ თერაპიული მეთოდებითაც, როცა, მაგალითად, თრომბისა და ბადური გარსის იშემიას, ან თვალშიდა წნევებს ვმკურნალობთ.

საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილების მედპერსონალი ძირითადად ახალგაზრდებისაგან შედგება. მათი ინტერესების სფერო ფართოა, მაგრამ გარკვეული თემებისა და საკითხების ირგვლივ მუშაობასაც მოიცავს. ახალგაზრდა ორდინატორებთან ლ. დგებუაძესთან, მ. ოაშვილთან და ი. კიკალეიშვილთან ერთად ვიკვლევთ ენდოკრინოლოგიურ ავადმყოფებს ოფთალმოლოგიურ ასპექტში, ვაწარმოებთ ორბიტალური პროცესების დროს სისხლძარღვთა რენტგენულ გამოკვლევას, ვსწავლობთ ოპერაციისა და ოპერაციის შემდგომ გართულებებს და მათი ლიკვიდაციის გზებს. რასაკვირველია, ამ საკითხებზე მუშაობა წარმოუდგენელია სხვადასხვა პროფილის გამოცდილი ექიმების კონსულტაციების გარეშე. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევენ და საქმით რჩევას გვაწვდიან პროფესორები ე. ფიფია, ლ. თევდორაძე, გ. ბახტაძე, ნ. ტატიშვილი.

განყოფილების მუშაობის კარგი შედეგები თავისთავად მეტყველებს განყოფილების გამგის — მ. ვარდოსანიძის დიდ ღვაწლსა და უფროსი მედდის — ს. მირიანაშვილის გულმოდგინეობაზე.

მომავალში განყოფილებაში საწოლთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება. უახლოეს ხანში კი ვეღირ ახალ სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურას, ქირურგიულ ინსტრუმენტებს, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აამაღლებს მკურნალობის ხარისხს.

რ. მუხიგულაშვილი.

# ჩემპიონები ჩემპიონობენ

**სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში**

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დიდი შეჯიბრების უკანასკნელი დღე იყო — გამოვლინდნენ ჩემპიონები მრავალჯერადის ცალკეულ სახეობებში.

ხუთიდან სამი პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ომსკელმა გალიმა შუგუროვამ. ვან მოიგო ვარჯიში უსაგნოდ (18,65 ქულა), ბურთით (19,85) და რგოლით (19,75).

კიეველმა ირინე დერიუგინამ ამ დღეს სსრ კავშირის ანსოლუტურ ჩემპიონის ოქროს დიდ მედალს დაუმატა კიდევ ორი „ოქრო“ — ჯირუზებით (19,5 ქულა) და ზონრით (19,8) ვარჯიშში. დიდ წარმატებას მიაღწია აგრეთვე საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლალი დოლიძემ, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ვარჯიშში უსაგნოდ (18,2 ქულა). საინტერესოა, რომ ეს საკავშირო ჩემპიონატის პირველი მედალია ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში!

გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჯილდოები. **გარდამავალი გუნდური თასი კვლავ მოიპოვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა,** რომელმაც, როგორც ცნობილია, ქულათა თანაბარი რაოდენობა (231,3) მოიგო უკრაინის კოლექტივთან ერთად, მაგრამ ნებისმიერი პროგრამის უპირესი შესრულებისათვის გამარჯვება მას მიეკუთვნა.

## ცვლილებები კალენდარში

**საკავშირო** სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ცვლილებები შეიტანა საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარში. „არარატი“-კიევის „დინამოს“, „ზენიტი“-მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-„კარპატის“ მატჩები გაიმართება 17 ივლისს, კიევის „დინამო“-„ზარიას“ შეხვედრა — 10 ივნისს, ხოლო მატჩები თასზე მოსკოვის „დინამოსა“ და „შახტიორს“, აგრეთვე „არარატსა“ და ცსკა-ს შორის ნაცვლად 12 ივნისისა გაიმართება 3 ივლისს.

## მოკლედ

**შეხვედრები.** სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა უეფა-ს ტურნირის წინასწარი ეტაპის უკანასკნელი მატჩიც მოიგო უნგრეთის ქალაქ სომბატხეიში. ანგარიშით 2:0 მან დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი და ნახევარფინალში გავიდა. ხვალ საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდებიან ესპანელ თანატოლებს. ამავე დღეს მეორე ნახევარფინალში ისპარეზებენ უნგრეთისა და საფრანგეთის გუნდები. ეს მატჩები და ფინალური ასპარეზობა (6 ივნისს) ბუდაპეშტში გაიმართება.

**ბუშენ** მოსკოვის „ლოკომოტივმა“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში უმასპინძლა ლენინგრადის „ზენიტს“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

**ცურვა.** სსრ კავშირის ოთხი ახალი რეკორდი იქნა დამყარებული კიევში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე, რომელშიც 450-ზე მეტი სპორტსმენი გამოდის. თავი ისახელეს ივანე მიკოლუტკომ (მოგილოვი), ლარისა ცარიოვამ (მოსკოვი), თამარ შელოფასტოვამ (ლენინგრადი) და მარინე იურჩენკომ (ოდესა).




## ᲭᲘᲓᲙᲝᲒᲙ

## შ. მორჩილაძის წარმატება

**გუქარესტში** დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ 12 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის ფალავნები. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისელი შოთა მორჩილაძე (ძმიმე წონა). აღსანიშნავია, რომ იგი მუხლის ოპერაციის გამო თითქმის ერთი წელია არ გამოსულა დიდ ასპარეზზე.

მიუხედავად ამისა, შ. მორჩილაძემ მაღალოსტატურად ჩაატარა ექვსივე შეხვედრა, რომლებიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა და გამარჯვება მოიპოვა ტურნირში.

განვლილი შეჯიბრება მონრეალის ოლიმპიადისათვის მზადების უკანასკნელი სერიოზული შემოწმება იყო. სპეციალისტების საერთო აზრით, შოთა მორჩილაძემ მოიპოვა უფლება პირველ ნომრად იქნეს შეყვანილი საკავშირო ნაკრებში.

## ᲭᲘᲓᲙᲝᲒᲙ

## საქართველოს პირველობაზე

მესამე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ჩაიკოვსკაია და ჭ. გეგიძე. გაიმარჯვა ჩაიკოვსკაიამ. წეროთელმა მოუგო ჩხაიძეს, ნ. მელაშვილმა — ხუბულურს, გურგენიძემ — შელეგიას. კალანდარიშვილი და რ. გეგიძე ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ჩაიკოვსკაია, 2 ქულა აქვს ოსტატობის კანდიდატ კალანდარიშვილს.

## ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

## საქართველოს პირველობაზე

მესამე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ჩაიკოვსკაია და ჭ. გეგიძე. გაიმარჯვა ჩაიკოვსკაიამ. წეროთელმა მოუგო ჩხაიძეს, ნ. მელაშვილმა — ხუბულურს, გურგენიძემ — შელეგიას. კალანდარიშვილი და რ. გეგიძე ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადიდ.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ჩაიკოვსკაია, 2 ქულა აქვს ოსტატობის კანდიდატ კალანდარიშვილს.

## ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

პრკ-ში (იუგოსლავია), სადაც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრებების ტრადიციული მატჩი, გათამაშდა 3 ტური. უკანასკნელი, მეოთხე ტურის შედეგის მიუხედავად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა უკვე უზრუნველყვეს გამარჯვება — ისინი წინ არიან ანგარიშით 20,5:8,5.

## ნორჩი პიანისტის კონცერტი

**საქართველოს** ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა თბილისის ე. მიქელაძის სახელობის მეცხრე მუსიკალური სკოლის მეექვსე კლასელის სოფიკო წიწუაშვილის, სოლო კონცერტი. ნორჩი პიანისტი წარმატებით გამოვიდა თბილისის მუსიკალური სკოლების საქალაქო დათვალიერებაზე, უკრავდა მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში და ქვეყნის სხვა ქალაქებში.

13 წლის პიანისტმა აირჩია დასავლეთევროპელი კლასიკოსების, რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რომლებიც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თავისებური მანერით შეასრულა. დამსწრეთ მხურვალედ მიუღოცეს ნიჭიერ პიანისტსა და მის მასწავლებელს რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს ნ. ფარქოსაძეს. (საქინფორმი).



## ᲡᲚ. Დ. ᲙᲘᲙᲐᲩᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა 1917 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი სპირიდონ დიანოზის-ძე კიკაჩეიშვილი.

იგი დაიბადა 1894 წელს სოფელ მელაურში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა სამტრედიის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. აქვე მოსდა მისი პირველი რევოლუციური ნათლობა.

1913-1917 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამავე პერიოდში თბილისის „სალვეს“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილები სამტრედიის აბრეშუმის ძაფსადები ფაბრიკის მუშა ქალთა და გზის მშენებელ მუშათა დუხჭირ ცხოვრებაზე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ს. კიკაჩეიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკური პარტიის მუშაობაში. ამავე წლის ივნისში იგი სამტრედიაში დაბრუნდა, სადაც ვანო სტურუასა და ვალიკო გეგეშიძესთან ერთად ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. ამ ორგანიზაციის არალეგალური მუშაობის მთელ პერიოდში იგი მისი კომიტეტის წევრი და ორგანიზატორ-პროპაგანდისტი იყო.

ს. კიკაჩეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი არალეგალური კომუნისტური უჯრედის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლება.

1919 წლის გაზაფხულზე, როგორც შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხუთეულის წევრი, იგი სამტრედიაში ბრუნდება, მაგრამ აპატიმრებენ. 1920 წლის მაისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციისთან დაკავშირებით, ს. კიკაჩეიშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი გაგზავნა „კომუნისტის“ რედაქციაში გაგზავნა სამუშაოდ. მენშევიკებმა დაარბიეს „კომუნისტის“ რედაქცია, სხვა მუშაკებთან ერთად ს. კიკაჩეიშვილიც დაპატიმრეს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. კიკაჩეიშვილი იყო ჯერ პარტიის სამტრედიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორ-პრომაგანდისტი, მერე მისი პასუხისმგებელი მდივანი, 1922-1926 წლებში კი სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ ახალციხესა და თბილისში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა.

ძველი რევოლუციონერის ს. კიკაჩეიშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულში, ვინც იცნობდა და მასთან ერთად მუშაობდა.

**საქართველოს კომპარტიის სამგრედიის რაიკომი; სამგრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი.**


## სხვა გაზეთებიდან

## ბეჭედი — ინდიკატორი

**ამერიკის** ფირმა „კუ-ტრანმა“ დაიწყო უჩვეულო ბეჭდების გამოშვება, რომლებშიც ძვირფასი თვლების ნაცვლად ჩამონტაჟებულია თხევადი კრისტალით სავსე მინიატურული კვარცის კამერა. როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ იუწყება, თხევადი კრისტალის ფერი იცვლება ბეჭდის მფლობელის ფსიქიკური მდგომარეობის შესაბამისად. მაგალითად, როცა ადამიანი მშვიდად არის მაშინ კრისტალი ცისფრად აელვარდება, ხოლო გაღიზიანების შემთხვევაში შავ ფერს იღებს.



## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

**გუშინ** ოსაფლოთ საქართველოში წვიმდა, 13 საათზე დაბლობ რაიონებში 17-21. მთიანში 14-18 გრადუსი სითბო იყო. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებშიც წვიმდა. დაბლობ რაიონებში თერმომეტრი 18-23, მთებში 15-18 გრადუსი სითბოს უჩვენებდა.

**ხუთშაბათ** 13 საათზე თბილისში 22 გრადუსი სითბო აღინიშნა.

**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგან ელჭექი. დაბლობ რაიონებში 20-25. მთებში 14-15 გრადუსი სითბო იქნება.

**აღმოსავლეთ** საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 18-23. მთებში 13-18 გრადუსი სითბო.

**თბილისში** მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა. ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — 21-23 გრადუსი სითბო.

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**



# თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის

**აცხადებს მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწვეტილი: ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, სოლო სიმღერის, გუნდის დირიჟორობის, კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის სპეციალობებით**

**კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალში:** სოლო სიმღერის საოპერო და საორკესტრო საკრავების დაუსწრებელ სწავლებაზე.

მუსიკისმცოდნეობის და გუნდის დირიჟორობის სპეციალობებით მისაღები გამოცდები იწარმოებს მხოლოდ ქართულ სექტორზე.

კონსერვატორიაში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საგამოცდო პროგრამის შესრულება) და ყოლოკვიუმი ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, გუნდის დირიჟორობის, სოლო სიმღერის სპეციალობებზე შემსვლელთათვის, ხოლო კომპოზიციის სპეციალობაზე — საკუთარი ნაწარმოების წარდგენა;
2. სოლფეჯიო (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე;
3. ჰარმონია (წერა ზეპირი) ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, გუნდის დირიჟორობის, მუსიკისმცოდნეობის და კომპოზიციის სპეციალობებზე.
4. მუსიკის ლიტერატურა — კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის სპეციალობებზე, ამავე დროს მუსიკისმცოდნეობის სპეციალობაზე შემომსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას სპეციალობაში (რეფერატი).
5. მუსიკის ელემენტარული თეორია (წერა, ზეპირი), სოლო სიმღერის სპეციალობაზე;
6. საერთო ფორტეპიანო — კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობის და გუნდის დირიჟორობის სპეციალობაზე.
7. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი) ყველა სპეციალობაზე.
8. სხვა ისტორია (ზეპირი — ყველა სპეციალობაზე);

**საბუთები მიიღება 8 ივლისამდე ჩათვლით.** გამოცდები იწარმოებს 6 ივლისიდან. კონსულტაციები 25 ივნისიდან.

**გამოცდები თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში** იწარმოებს გრიბოედოვის ქ. № 8, **კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალში** კი ქუთაისში წეროთლის ქ. № 28.

**განცხადება, დადგენილი ერთიანი ფორმით, შემოტანილი უნდა იქნას კონსერვატორიის რექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით:** 1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (ატესტატი, დიპლომი ნიშნების დართვით); 2. დახასიათება-რეკომენდაცია კონსერვატორიაში შესასვლელად მუსიკალური სასწავლებლის დირექციისაგან და სამეფო ადგილიდან (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემომსვლელთათვის); 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. ამონაწერი შრომის ან კოლმეურნეობის წევრობიდან — ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული, შემოწმების თარიღის აღნიშვნით (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემომსვლელთათვის); 5. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3X4 სმ.); 6. ორნაწილიანი მოწმობის ან გვარის შეცვლის დამოწმებული ასლი (იმ პირთათვის, რომელთა პასპორტში აღნიშნული გვარი არ შეესაბამება განათლების დოკუმენტში აღნიშნულ გვარს); 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 8. იურობიოგრაფია.

**კონსერვატორიაში** შემომწვლელი პირადად წარმოადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მოწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმდებ კომისიაში.** ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8.

ტელ. 99-91-47.





# საქართველოს სსრ ᲮᲐᲜᲓᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის სამინისტრო

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწვეტილთ (დღის, დასწრებულთ) პირველ და მეორე კურსებზე, რესპუბლიკის შემდეგ სამედიცინო სასწავლებლებში:**

**1. თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი** (დგებუაძის ქ. № 8; ტელ. 95-97-97) შემდეგ სპეციალობებზე:

**საფერშლო** — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი — რუსული სექტორი);

**საფერშლო-ლაბორატორიული** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

**მედდა** — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

**2. თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი:** (ხოშარაულის ქ. № 6; ტელ. 51-89-70; 51-85-67) შემდეგ სპეციალობებზე:

**საბებიო** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

**მედდა** — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი).

**მედდა** — ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი — ქართული და რუსული სექტორი).

**3. თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელი:** (ლესელიძის ქ. № 25; ტელ. 95-54-85) შემდეგ სპეციალობებზე:

**საფერშლო** — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

**სანიტარული საფერშლო** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

**ფარმაცევტიული** — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი);

**კბილის ტატექნიკო** — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი).

**4. სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი** (ჩოჩუას ქ. № 56; ტელ. 2-20-49) შემდეგ სპეციალობებზე:

**საფერშლო** — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი);

**საბებიო** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი — რუსული სექტორი);

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი — ქართული და რუსული სექტორი);

**5. ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი** (ბაუმანის ქ. № 18; ტელ. 44-05). შემდეგ სპეციალობებზე:

**საფერშლო** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი);

**მედდა** — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი);

**მედდა** — ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**6. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი** (ალარა ცეტკინის ქ. № 15; ტელ. 5-57-32) შემდეგ სპეციალობებზე:

**მედდა** — რვაწლიანი და საშუალო სკოლის ბაზაზე (I-II კურსი).

**7. ფოთის სამედიცინო სასწავლებელი** ((ალაკის ქ. № 42; ტელ. 13-92) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**8. მახარაძის სამედიცინო სასწავლებელი** (მარქსის ქ. №10; ტელ. 7-33-06) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**9. თელავის სამედიცინო სასწავლებელი** (ნადიკვარის ქ. № 23; ტელ. 14-11) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**10. ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელი** (ბოსტანის ქ. № 4. ტელ. 23-19) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე (I კურსი).

**11. გორის სამედიცინო სასწავლებელი** (ლომოურის ქ. № 20; ტელ. 26-09) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**12. ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი** (რუსთაველის ქ. № 41; ტელ. 2-14-93) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**13. ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელი** (ოდანოვის ქ. № 18; ტელ. 23-79) შემდეგ სპეციალობაზე:

**მედდა** — საშუალო სკოლის ბაზაზე (II კურსი).

**მიღების პირობები:**

**I — მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან** სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ რვაწლიანი ან საშუალო განათლება.

ის პირები, რომლებმაც დამთავრეს რვაწლიანი ან შვიდწლიანი (მის რვაწლიანად გადაკეთებამდე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მიიღებიან რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში.

**II — სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:** 1. განცხადება დირექტორის სახელზე — სათანადო ფორმით; 2. დოკუმენტი რვაწლიანი ან საშუალო განათლების შესახებ (დედანი); 3. სამედიცინო ცნობა ფ. № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელის მოწერით. 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კადრების განყოფილების უფროსის ან ხელმძღვანელის მიერ; მოითხოვებათ იმათ, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი; 5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ);

**სასწავლებელში შემსვლელნი** პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მოწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

**III — რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში** (პირველი კურსი) შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა, წაკითხული ტექსტის შინაარსი, ქართული სექტორისათვის), რუსულ ენაში (ყარნახი — რუსული სექტორისათვის), მათემატიკაში (ზეპირი).

**IV — საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში** (მეორე კურსი) შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება, ქართული სექტორისათვის), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება, რუსული სექტორისათვის), ქიმიაში (ზეპირი).

ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ქების სიგელით „ცალკეული საგნის შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“, განთავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან იმ საგანში, რომელშიც გათვალისწინებულია გამოცდა.

**V — მისაღები გამოცდების გარეშე განცხადებათა შეტანის მიხედვით (მიღების გეგმის 60 პროცენტის ფარგლებში) ჩაირიცხებიან:**

ა) რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული ხუთოსნები, დაჯილდოებულნი ქების სიგელთ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელდამთავრებულნი (8 კლასის ბაზაზე), რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პროფტექნიკურ განათლებასთან ერთად მიიღეს ზოგადი საშუალო განათლებაც; პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინები კურსდამთავრებულნი (10 კლასის ბაზაზე) მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ იქნებიან სავალდებულო სტაჟის გარეშე და მისაღებ გამოცდებს